GN ELECTRIC
ჯი ენ ელექტრიკ

04-03/2019

27 მარტი 2019 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბ-ნ ლ. დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „ჯი ენ ელექტრიკ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ს.ს. „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან" გაფორმებული მემორანდუმის (და მასში შესული ცვლილებების) ფარგლებში ახორციელებს ცაგერის რაიონში მდ. რაჩხაზე „რაჩხა ჰესი"-ს მშენებლობას. პროექტი ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2016 წლის 23 თებერვალს გაცემული N11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

ამ ეტაპზე შპს „ჯი ენ ელექტრიკ" გეგმავს ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მიხედვით, დაგეგმილ ცვლილებას გავლილი აქვს სკრინინგის პროცედურა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 27 ნოემბერის N 2-961 სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე;

განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

1. სკოპინგის ანგარიში - 1 ნაბეჭდი ეგზემპლარი;
2. სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის shp-ფაილები - 1 CD დისკი.

პატივისცემით,

დირექტორი
სანდრო მაღლაკელიძე

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 4722
"28" 03 2019
1 ფ.
მისამართი + 02 + სულიერებული

ს/კ: 404945752
თბილისი 0179, ბარნოვის ქ. №90
ტელ: 2 20 00 45